



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080163533633419

№ 1312

06 / მარტი / 2019 წ.

ი.მ. ზაზა სულაძის გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობა;

ტენდერის ნომერი: NAT180008939;

შესყიდვის ობიექტი: 45300000 – სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;

მიმწოდებელი: ი.მ. ზაზა სულაძე (პირადი №35001062212);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 15 და 24 იანვარს წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობის 2019 წლის 15 იანვრის №39-0119015273) წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №371) და 2019 წლის 24 იანვრის №39-0119024242) დაზუსტებული წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 777), რომლითაც სააგენტოს ეცნობა ი.მ. ზაზა სულაძის (პირადი № 35001062212) მიერ NAT180008939 ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული 2018 წლის 5 ივლისის № 5.1.16/30/108 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. ი.მ. ზაზა სულაძეს სააგენტომ 2019 წლის 24 იანვრის №300 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე განმარტების წარმოდგენა.

1.3. ი.მ. ზაზა სულაძემ სააგენტოში 2019 წლის 4 თებერვალს წარმოადგინა 2019 წლის 1 თებერვლის განმარტება (რეგისტრაციის № 1213) NAT180008939 ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული 2018 წლის 5 ივლისის № 5.1.16/30/108 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, არასრულად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 5 ივლისის № 5.1.16/30/108 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მას შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 15 იანვრის № 39-0119015974 წერილით ეცნობა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას დაეთანხმა მხოლოდ ერთ ნაწილში, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ სამუშაოები არ შეუსრულებია გოგებაშვილის ქუჩა № 26-ში. ამასთან, მიმწოდებელმა განაცხადა, რომ იგი წარმოადგენდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნას შესრულებული სამუშაოების ხარისხის, მოცულობისა და ღირებულების თაობაზე, თუმცა მიმწოდებელს ასეთი დასკვნა სააგენტოში არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 13 ივნისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობამ გამოაცხადა NAT180008939 ელექტრონული ტენდერი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების (CPV45300000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 29 ივნისის № 2 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ი.მ. ზაზა სულაძე (პირადი № 35001062212) და იგი მინვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. მხარეთა შორის 2018 წლის 5 ივლისს გაფორმდა № 5.1.16/30/108 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა საცხოვრებელი სახლების ხის, ქვისა და ლითონის კიბის მოწყობა-რეაბილიტაციის, ჭიშკრის აღდგენა-რეაბილიტაციის, სადარბაზოს კარის დამზადება-მონტაჟისა და შეკეთება-რესტავრაციის სამუშაოები 2018 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების შესაბამისად. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 62 092,55 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 იანვარი.

4.4. მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 3 დეკემბრის შეთანხმებით, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 20 დეკემბერი.

4.5. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 15 ნოემბრის № 39-01183193351 წერილით დაევალა ხის კიბის აღდგენის სამუშაოების შესრულება ქ. თბილისში, ვერცხლის ქ. №26-ში; ი. გრიშაშვილის ქ. №26-ში და ნ. ქუმსიაშვილის ქ. №7-ში. ამავე წერილით მიმწოდებელს ასევე დაევალა ჭიშკრის დამზადება-მონტაჟი ქ. თბილისში, გრიშაშვილის ქ. № 61-ში. სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა წერილობითი დავალების ჩაბარებიდან 20 კალენდარული დღე.

4.6. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 3 და 17 დეკემბრის № 39-01183373079 და № 39-0118351974 წერილებით მიეცა გაფრთხილება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 15 იანვრის № 39-0119015974 წერილით ეცნობა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

4.8. საქმეში არსებული მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით დგინდება, რომ მიმწოდებელმა შეასრულა 31 430,5 ლარის ღირებულების სამუშაო, რაც ხელშეკრულების საერთო მოცულობის 51%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ ი.მ. ზაზა სულაძეს უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავედროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/

მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე და მიუთითებს, რომ, იმ შემთხვევაშიც, თუ იგი წარმოადგენდა მის განმარტებაში მითითებულ დასკვნას, ეს არ შეცვლიდა საქმის ფაქტობრივ ვითარებას, ვინაიდან თავად მანვე მიუთითა ერთ ობიექტზე სამუშაოების შეუსრულებლობის ფაქტზე. ამგვარად, დგინდება რა ხელშეკრულების არასრულად შესრულების ფაქტი, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაბრობის პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.


7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, მიმწოდებელმა არააჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მაგრამ სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მიმწოდებელმა შეასრულა 31 430,5 ლარის ღირებულების სამუშაო, რაც ხელშეკრულების საერთო მოცულობის 51%-ს შეადგენს. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, ი.მ. ზაზა სულაძის შავ სიაში დარეგისტრირებით დადგება არათანაბრობის შედეგი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

- 1. ი.მ. ზაზა სულაძეს (პირადი №35001062212) 2019 წლის 7 მარტს მიეცეს გაფრთხილება.
- 2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.
- 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე